

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

გორის მუნიციპალიტეტი

1. პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:

(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

„შიდა ქართლისა და დევნილთა 3 დასახლებისთვის მოძრავი მამოგრაფიის მანქანის შექმნა“ – მამოგრაფიული სერვისის უზრუნველყოფა“ რომელიც დაფინანსდა იაპონიის მთავრობის მიერ, იაპონელი ხალხის კეთილი ნებითი და გორის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით. ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა კიბოს მობილური სკრინინგ ცენტრი, რომელიც შიდა ქართლის, გორის მუნიციპალიტეტს, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას მოემსახურება. პროექტის შედეგად ადგილობრივ და კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას შესაძლებლობა ექნებათ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება და კვლევები ადგილზე ჩაიტარონ უფასოდ.

2. თემატიკა:

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

მ.მუნიციპალური სოციალური პროგრამების მონაწილეობითი დაგეგმვა, მუნიციპალური სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა;

3. პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:

(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

გორის მუნიციპალიტეტის მერია-ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი- დაფინანსების წყარო: იაპონიის საელჩოს გრანტი,

მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

გორის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეული შიდა ქართლის მხარეში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია - გორი.

სახელწოდება დაკავშირებულია ქალაქში აღმართული კლდოვანი გორაკთან, რომელზეც გაშენებულია ძველი ციხე-სიმაგრე "გორის ციხე".

მუნიციპალიტეტის ტერიტორია აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და მოიცავს ისტორიულად და გეოგრაფიულად უმნიშვნელოვანეს ადგილებს. ჩრდილოეთით სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ოლქი ესაზღვრება, აღმოსავლეთით კასპის, სამხრეთით - ბორჯომის და წალკის მუნიციპალიტეტები, დასავლეთით კი ქარელის მუნიციპალიტეტი.

გორის მუნიციპალიტეტის ფართობია 1 336.3 კვ.კმ მოსახლეობის რაოდენობა 118 800 ადამიანი მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების რაოდენობა - 121

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ პირდაპირი წესით აირჩია თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი - მუნიციპალიტეტის მერი და წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრები.

აღმსარებელ ორგანოს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის მერია, რომელიც 9 სტრუქტურული ერთეულისაგან - სამსახურისგან შედგება, აღმსარებელ ორგანოს ხელმძღვანელობს პირდაპირი წესით არჩეული მუნიციპალიტეტის მერი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის ს-1 (თბილისი - სენაკი- ლესელიძე) და ს-10 (ცხინვალი - ჯავა-როკი) საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები.

მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ლიახვი, ტანა, პატარა ლიახვი, მეჯუდა, თეძამი. ყველაზე მაღალ წერტილს განეკუთვნება - "ჯამჯამას" მთა, რომელიც თრიალეთის ქედზე, რომელიც ზღვის დონიდან 1780 მეტრზე მდებარეობს.

თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებების მართვის ოპტიმიზაციისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია ადმინისტრაციული ერთეულები - 33 ადმინისტრაციული ერთეული (ქალაქში 11 და სოფელში 22 ადმ.ერთეული)

გორიდან რამოდენიმე კილომეტრის მოშორებით მდებარეობს ძველი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში, VII საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი ატენის სიონი, რომელიც მდინარე ტანას მარცხენა ნაპირას, ფრიალო კლდის კიდეზეა აშენებული. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზევე მდებარეობს კლდეში ნაკვეთი უძველესი ქალაქი უფლისციხე, რომელიც VII საუკუნით თარიღდება.

4. მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;

ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი წარმოადგენს მუნიციპალურ შპს-ს და როგორც მუნიციპალიტეტის ასევე სამედიცინო დაწესებულების მიზანია მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა და პროექტი არ არის დაფუძნებული კომერციული მიზნებით.

რეგიონის მამტაბით, მხოლოდ გორში, ფუნქციონირებს სკრინინგ პროგრამა, რომელსაც ახორციელებს მხოლოდ ერთი მიმწოდებელი დაწესებულება, თუმცა სამიზნე ბენეფიციარები არ მიმართავენ დროულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავენ ექიმ-სპეციალისს, ან იტარებენ სკრინინგულ კვლევას როდესაც დაავადება შესამჩნები ხდება მათთვის (გამოხატული ტკივილების ან ვიზუალურად, მანუალურად შესამჩნევი).

ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი მდებარეობს მაღალმთიან დასახლებაში, ე.წ. საზღვრისპირა სოფელში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობა, ხარისხიანი ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის, შესაბამის სერვისებზე ხარისხიანი წვდომის შესაძლებლობა.

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

სახელმწიფო ჯანდაცვით სტრატეგიას წარმოადგენს სკრინინგ პროგრამების გაძლიერება და ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სახელმწიფოს სტრატეგიაა პირველადი ჯანდაცვის ცენტრის გაძლიერება.

სახელმწიფოს სტრატეგიაა ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

სახელმწიფოს სტრატეგიის ნაწილია მაღალმთიანი რეგიონის განვითარება .

სახელმწიფოს სტრატეგიაა ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის დაცვა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა.

5. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

ბოლო წლების დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სიმსივნურ წარმონაქმნებს რეგისტრირებულ დაავადებების ჩამონათვალში ისევ მაღალი პროცენტული წილი უკავია, ხოლო სიმსივნური დაავადებები ყველაზე ფართოდ გავრცელებულია 30-70 წლის ასაკის ადამიანებში, საიდანაც ლოკალიზაციის მიხედვით სარძევე ჯირკვლის კიბოს შემთხვევებია პირველ ადგილზე, შემდეგ საშვილოსნოს ყელის, წინამდებარე ჯირკვლის(პროსტატის) და სწორი ნაწლავის.

2011 წლიდან სახელმწიფომ დაიწყო კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამები სწორედ ამ სამიზნე ჯგუფებითვის, რომელშიც იყო კიბოს მაღალი გავრცელება, კერძოდ:

1. 40-60 წლის ქალებისთვის სარძევე ჯირკვლის სკრინინგი მამოგრაფიული კვლევა
2. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, გინეკოლოგიური გასინჯვა, პაპ ტესტი, კოლპოსკოპია სა საჭიროების შემთხვევაში ციტოლოგიური კვლევა.

3. 50-70- წლის ასაკის მამაკაცებისთვის პროსტატის სკრინინგი სისხლის იმუნოფერმენტული კვლევა.
4. 50-70 წლის ასაკის ადამიანებისთვის სწორი ნაწლავის სკრინინგი.

შიდა ქართლის მამულებით რეგიონულ ცენტრში გორში, ფუნქციონირებს სკრინინგ პროგრამის ერთი მიმწოდებელი დაწესებულება, თუმცა სამიზნე ბენეფიციარები არ მიმართავენ დროულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავენ ექიმ-სპეციალისს, ან იტარებენ სკრინინგულ კვლევას როდესაც დაავადება შესამჩნევი ხდება მათთვის (გამონათული ტკივილების ან ვიზუალურად, მანუალურად შესამჩნევი).

ზემოთ აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრების მოსახლეობისთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნულ მოსახლეობას 1990 წლიდან უწევთ განსაკუთრებით სტრესულ გარემოში ცხოვრება, რასაც ემატება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ფსიქო სოციალური მდგომარეობა და ქვეყანაში შექმნა მრავალრიცხოვანი იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებმაც დაკარგეს საკუთარი სახლები და შემოსავლის წყარო, რა თქმა უნდა აღნიშნული სტრესული გარემოებები ერთგვარ ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს სიმსივნური დაავადებების განვითარებისთვის.

ასევე აღსანიშნავია სოციალური მდგომარეობა, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან სიშორისა და ინფორმაციის ნაკლებობის გამო ხშირად ვერ ახერხებენ ან არ თვლიან ბენეფიციარები საჭიროდ სკრინინგის ჩატარებას და მხოლოდ დაავადების კლინიკური გამოვლენის შემდგომ მიმართავენ კვლევებს რომელიც ხშირ შემთხვევაში უკვე დაგვიანებულია და მკურნალობაც არაკეთილსაიმედო.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელება ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ბაზაზე. პროექტის ფარგლებში შექმნილი ციფრული მამოგრაფთან ერთად სამედიცინო დაწესებულებას აქვს ყველა საჭირო აპარატურა, ლაბორატორიული ინტრუმენტი რაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს სოფლიდან გაუსვლელად ჩაიტაროს კიბოს სკრინინგი სრულიად უფასოდ.

6. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- პროექტის შინაარსი;
- აქტივობათა გეგმა/გრაფიკი (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);
- პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;
- ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) ჩართულობის შესახებ;
- ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:
 - ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
 - ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
 - გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
- პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;
- ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;
- სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;

პროექტის ფარგლებში მობილური სკრინინგ ცენტრის მოწყობის შემდეგ ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს ოფიციალურად გადაეცა შექმნილი მატერიალური ფასეულობები, რომელიც ასახულია სამედიცინო დაწესებულების ბალანსზე, რის შემდეგომ ცენტრს აქვს სრული მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რაც შესაძლებლობაა კიბოს სახელმწიფო სკრინინგ პროგრამაში ჩართვის, და ასევე გულისხმობს შესრულებული სამუშაოს მიხედვით თანხის გამომუშავებას. (თითოეული ბენეფიციარის კვლევაზე სახელმწიფო იხდის თანხას

მომსახურების შემსრულებელი დაწესებულებისთვის, რაც ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს აძლევს შესაძლებლობას გასცეს ხელფასები, გაისტუმროს ხარჯები, აღნიშნული კი უზრუნველყოფს ფინანსურ დამოუკიდებლობას და პროექტის მდგრადობის შენარჩუნებას.

აღსანიშნავია, რომ პროექტი სრულ თანხვედრაშია და სინერგიაში მოდის სახელმწიფოს ძალისხმევასთან, რომელიც მიმართულია დაავადების ადრეულ გამოვლენასა და გავრცელების შეზღუდვასთან, რეპროდუქციული ასაკის ქალების ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან.

2021 წლიდან სახელმწიფო მთელი ქვეყნის მასშტაბით აფინანსებს კიბოს სკრინინგ პროგრამებს, თუმცა როგორც ჩანს არასაკმარისია არსებული ძალისხმევა,

აღნიშნული პროექტი აძლიერებს სახელმწიფო პროგრამების მიწოდების მასშტაბს და ხელს უწყობს სამიზნე ბენეფიციარების მაქსიმალურ ჩართულობას სკრინინგ პროგრამაში, ასევე ხელს უწყობს ინფორმირებულობის ზრას და პოპულარიზაციას უწევს სკრინინგის მსურველთა რიგებში. მობილური სკრინინგი მუშაობს სრული დატვირთვით კვირაში ორი დღე ივლის სხვადასხვა სოფლებში, დანარჩენ დღეებში იმუშავებს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ბაზაზე და ყველა მსურველს ადგილზე გაუწევს მომსახურებას უფასოდ.

7. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პროექტის განხორციელება სტრატეგიულია არამარტო ადგილობრივი მოსახლეობისათვის არამედ სახელმწიფო ჯანდაცვითი სტრატეგიას წარმოადგენს სკრინინგ პროგრამების გაძლიერება და ხელმისაწვდომობის გაზრდა, პოპულარიზაციის და ინფორმირებულობის გაზრდის გზით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტი გახსნა მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, ხოლო მობილური სკრინინგის პროგრამა ამოქმედებისთანავე შეუერთდა კამპანიას ვარდისფერი ოქტომბრი- ძუძუს კიბოს ცნობადობის ამაღლება, რომლის მიზანია სიმპტომების ნაადრევი აღმოჩენა, თვითშემოწმებისა და სასკრინინგო კვლევების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი მიმდინარე წლის 16 ოქტომბრიდან აწარმოებს კიბოს სკრინინგულ კვლევებს, რომელიც განხორციელდა ოთხ ლოკაციაზე და ჯამში გამოკვლეულია 318 ბენეფიციარი.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის სამიზნე ბენეფიციარების ინფორმირებულობა აქტიურად ხორციელდება თანამშრომლობა ადგილობრივ ოჯახის ექიმებთან, მერის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა „ქალთა ორგანიზაციებთან“ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სკოლებთან, რათა მაქსიმალურად მეტი ბენეფიციარი იქნას გამოკვლეული. არსებული სტატისტიკა გვაძლევს შესაძლებლობას, დაავადების ადრეული გამოვლენის და მის პრევენციას.

მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განხორციელების რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);
- **ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვებთ პუნქტობრივად):
 - ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
 - ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
 - გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
 - დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი წარმოადგენს მუნიციპალურ შპს-ს და როგორც მუნიციპალიტეტის ასევე სამედიცინო დაწესებულების მიზანია მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა და პროექტი არ არის დაფუძნებული კომერციული მიზნებით.

ასეთი სახის პროექტის განხორციელებისთვის სამედიცინო დაწესებულებას უნდა ჰყავდეს სამედიცინო გუნდი დაკომპლექტებული საჭირო კადრებით რომელიც განახორციელებს კვლევებს და ასევე დაწესებულებას უნდა გააჩნდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზა რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ტექნიკური რეგლამენტით არის გაწერილი.

ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს პროექტის განხორციელებამდე გააჩნდა ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი რესურსი, იაპონიის საელჩოს საგრანტო დახმარება და გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით მოხდა მობილური კიბოს სკრინინგცენტრის მოწყობა და შესაბამისი ნებართვებისა და ლიცენზიების აღება პირველადი ჯანდაცვის ცენტრს აღარ დასჭირვებია.

ვინაიდან ყველა სტანდარტს აკმაყოფილებდა პირველადი ჩანდაცვის ცენტრი ჩაერთო კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამაში რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ფინანსურ მდგრადობას და პროექტის მდგრადად გაგრძელების შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის სამიზნე ბენეფიციარების ინფორმირებულობა აქტიურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ ოჯახის ექმებთან, მერის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა „ქალთა ორგანიზაციებთან“ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სკოლებთან, რათა მაქსიმალურად მეტი ბენეფიციარი იქნას გამოკვლეული.

პირველ რიგში აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა მუნიციპალიტეტსა და განმახორციელ ორგანიზაციას შორის. მნიშვნელოვანია განმახორციელებელი ორგანიზაცია პასუხობდეს დონორი ორგანიზაციების პრიორიტეტებს, ჰქონდეს პროექტების განხორციელების გამოცდილება, ნათლად ჩანდეს ის სარგებელი რომელსაც მოიტანს პროექტი განხორციელების შედეგად, უზრუნველყოფილი იყვეს მდგრადობა.

საპროექტო განაცხადის წარდგენამდე პროექტზე მომუშავე გუნდმა შეისწავლა კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა. გაეცნო პროგრამის მოთხოვნებს და პროგრამის დაფინანსების წყაროს ვინაიდან წინასწარვე დაგეგმილიყო პროექტის განხორციელების შემდგომ მისი მდგრადობის შენარჩუნება.

ამიტომ პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი თანხებითა და თანადაფინანსებით გახდა შესაძლებელი შესაბამისი სტანდარტების მქონე მობილური კიბოს სკრინინგცენტრის მოწყობა რომლითაც სამედიცინო დაწესებულებას შეეძენა შესაძლებლობა ჩართულიყო კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამაში და გუნდის აქტიური მუშაობის შედეგად ერთის მხრივ უზრუნველყოფილი ყოფილიყო სკრინინგული კვლევების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა

მოსახლეობისთვის და მეორეს მხრივ დაწესებულებისთვის შექმნოდა ფინანსური დამოუკიდებლობა რომლითაც შეძლებს პროექტის მდგრადობის შენარჩუნებას (იგულისხმება სამედიცინო პერსონალის ხელფასები და მიმდინარე პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები)

ასევე სკრინინგული კვლევების გაფართოების ნაწილში შესაძლებელია გავიზიაროთ თბილისის მერიის გამოცდილება და სკრინინგულ კვლევებში დავამატოთ ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამედიცინო სერვისების კიდევ უფრო ხელმისაწვდომობის ზრდას და უზრუნველყოფს მოსახლეობის მხარდაჭერას. პროექტის მარგი ქმედების კოეფიციენტი გაიზრდება და მდგრადომა შენარჩუნებული იქნება წლების განმავლობაში.

8. საკრებულოს როლი:

- პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;
- საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;
- როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;

9. პრატიკასთან/ინიციატივასთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

გარდა იმისა რომ პროექტი სინერგიაში მოდის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხედვებთან და სტრატეგიებთან, სამომავლოდ იგეგმება დამატებითი სერვისების დამატება რაც გორის მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას მოსახლეობამ ისარგებლოს ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისებით.

სახელმწიფოს მიდგომა სკრინინგ პროგრამების მიმართ კიდევ უფრო აქტიურდება, და არსებული მონაცემებით, დაავადების სიხშირით უახლოეს 10 წლის განმავლობაში არ იგეგმება პროგრამის დასრულება.

ჯანმრთელობის გაუმჯობესება უშუალო გავლენას ახდენს ადამიანის კეთილდღეობაზე, ჯანმრთელობის ხელშემწყობი სტრატეგიები არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ინდივიდს და თემს უბიძგოს და ხელი შეუწყოს აირჩიონ ჯანსაღი ქცევა და განახორციელონ ისეთი ცვლილებები, რომლებიც ამცირებს ამგვარი დაავადებების განვითარების რისკს.

მუნიციპალიტეტთან ერთობლივი თანამშრომლობით, წარმომადგენლების, ოჯახის ექიმების ჩართულობით კიდევ უფრო ეფექტური გახდება მობილური სკრინინგცენტრის ფუნქციონირება. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და ცნობიერების გაზრდა პრევენციული მიმართულებით;

პროექტი ხელს შეუწყობს ადამიანური უსაფრთხოების სფეროს, უზრუნველყოფს დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას და დააჩქარებს WPS-იზე გაეროს რეზოლუციის დანერგვას საქართველოში;

აგრეთვე, კიბოს სკრინინგის პროგრამაში ჩართვის შემდეგ ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს ექნება შესაძლებლობა დამატებით ადგილობრივი ექთნის პროფესიის პირის დასაქმების. მნიშვნელოვანი ფაქტორია, ისიც რომ პროექტის ფარგლებში შეძენილი ციფრული მამოგრაფი არის ახალი და გამოცდილი ბრენდი, რომელიც აპრობირებულია საქართველოს ბაზარზე, ავტომატურად რომლის შექმნაც მოხდა პროექტის ფარგლებში არის ევროპული, მანქანა მოეწყო ბირთვული და რადიაციული სააგენტოს შესაბამისი სტანდარტებით.

10. საკონტაქტო ინფორმაცია:

განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები: სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

დიანა ბერიძე გორის მუნიციპალიტეტის მერია სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი 595 33 55 07 diko.beridze@gmail.com

პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

ნიკოლოზ ძამუკაშვილი შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი 551 77 88 75 nikoloz.dzamukashvili@yahoo.com

11. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

- ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;
- ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);
- გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

ინფორმაცია პროექტის შესახებ სოციალურ ქსელში

1

<https://www.facebook.com/100070290753937/posts/pfbidofUWyPXtTqtLJwCqkYSSybwjvFhA3gEtWJ24DSnW2EBTeuUpAtuzMQw12iphFVjbql/?mibextid=cr9u03>

2 <https://www.facebook.com/shidakartlismxare/videos/1857458838103190/>

3

<https://www.facebook.com/shidakartlismxare/posts/pfbido26MjGb2MG5yj1WUz1HzdjjEnLzxJLangdRGkqz9uz8t8CAUS7ZGx9dHkNcaeMBzCl>

4

<https://www.facebook.com/tvmonitoringi/videos/984024686018621>

5 <https://www.facebook.com/media/set/?set=a.727030166137861&type=3>

6 <https://www.facebook.com/CityHallofGori/videos/340805485290123>

განაცხადის მიღების ვადაა 2023 წლის 10 ოქტომბერი- 17 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

* შენიშვნა: განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge